1. **პროგრამის სახელწოდება:** ირანისტიკა

2. **პროგრამის ხელმძღვანელი:** ასოცირებული პროფესორი, მარინა ალექსიძე

3. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ირანისტიკის მაგისტრი/ MA in Persian Studies.

4. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**
   - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი.
   - პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.

5. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

მიზანი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწოფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთ-მცოდნეობის მიმართულება მიმდინარე სამაგისტრო პროგრამით მოამზადებს ირანისტიკის მაგისტრს – ფართო პროფილის სპეციალისტს, რომელსაც ექნება პროფესიული ცოდნა როგორც სპარსულ ენასა და ლიტერატურაში, ისე ირანის ძველ და ახალ ისტორიაში.

შედეგები: მიმდინარე სამაგისტრო პროგრამით მომზადებული მაგისტრი იქნება ერუდირებული სპეციალისტი, ექნება სისტემური ცოდნა სპეციალობის განმსაზღვრელ ძირითად ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში, შეეძლება დარგის მომიჯნავე სფეროებში გარკვევა. იგი შესძლებს დარგი კონცეპტუალურ დონეზე მოხელთებას, შეეძლება დამოუკიდებლი როგორც სამეცნიერო–თეორიული ისე პრაქტიკული მუშაობა.

დასაქმების სფეროები:
მაგისტრი მზადდება ირანისტიკის დარგში პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, საარქივო-სამუზეუმო, სარედაქტორო, სარეფერენტო, მეთოდიკური, სათარჯიმნო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისათვის. ირანისტიკის მაგისტრი შეძლებს იმუშაოს:
- სამეცნიერო დაწესებულებებში (კერძოდ, აღმოსავლეთმცოდნეობის, ხელნაწერთა, ენათმეცნიერების, ისტორიის და ქართული ლიტერატურის ინსტიტუტებში),
- გამომცემლობებში,
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში,
- არქივებსა და მუზეუმებში,
- სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ყველა იმ თანამდებობაზე, რომელიც გათვალისწინებულია მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის.
- მათ შეუძლიათ, აგრეთვე, იმუშაონ დიპლომატიურ სარბიელზე საელჩოებსა და საგარეო საქმეთა სამინისტროში.

სწავლის გაგრძელების საშუალება: მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში ამავე სპეციალობით ან მომიჯნავე სპეციალობებზე.